საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/71

ქ. ბათუმი 29 ივნისი, 2022 წ.

ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 14 ივნისის N642293 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს ,,სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 ან/და მე-4 სასწავლო წლის სტუდენტებსა და ბსუ-ს ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ან აღნიშნული პროგრამების კურსდამთავრებულებს.
3. კონკურსანტმა **2022 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 11 ივლისის** ჩათვლით ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ან ბსუ-ს ელექტორნული ფოსტის (Info@bsu.edu.ge) მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

   ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (სტაჟირების გავლის წესით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად შევსებული);
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) CV;
   დ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტუდენტის სტატუსის შემთხვევაში) და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემიდან სასწავლო ბარათი, ხოლო კურსდამთავრებულმა - დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;
   ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);
   ვ) სამოტივაციო წერილი.
4. კონკურსის წესით შეირჩეს 4 სტაჟიორი, შერჩეულმა კანდიდატებმა ერთი თვის განმავლობაში გაიარონ ანაზღაურების გარეშე სტაჟირება ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში.
5. შერჩეულმა სტაჟიორებმა სტაჟირების პერიოდში უნდა შეასრულონ ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის დებულებითა და პერსონალის სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები.

6. სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე განისაზღვროს წარმატებული სტაჟიორები, რომლებიც შესაძლებელია დასაქმდეს არაუმეტეს 6 თვის ვადით (ანაზღაურებადი სტაჟირება) და მათზე გაიცეს სერტიფიკატები.
7. წარმატებული სტაჟიორების კონტრაქტით დასაქმების შემთხვევაში, ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით, არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით.
8. სტაჟირების კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას სტაჟიორთა საკონკურსო კომისია, რომელმაც განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადები და ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
9. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
10. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ი. ჩხარტიშვილი